კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებისთვის

FSM-2024-07-18

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს შესაბამისად ავტორიზებულ და/ან ლიცენზირებულ ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს (ISP) ხარისხიანი ინტერნეტის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს შემდეგ რეგიონებში:

გურია ან/და რაჭა-ლეჩხუმი

მოთხოვნილი სერვისი: ხარისხიანი ინტერნეტისა და ინსტალაციის მომსახურების უზრუნველყოფა საქართველოს შემდეგ რეგიონებში: გურია და/ან რაჭა-ლეჩხუმი, ხელშემკვრელი ორგანოს შეკვეთების/მოთხოვნების საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების დაცვით, რომელიც გაფორმდება ტენდერის ყველაზე უპირატეს მონაწილესთან.

ინტერნეტზე წვდომის ფლაგმანი: სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით (REDI) არის ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი, რომელსაც ახორციელებს „სოლიდარობის ფონდი პლ საქართველოში“ (SFPL in GEO) 2023 წლის 1 დეკემბერიდან, ჩვენს პარტნიორთან ესტონეთიდან - ელექტრონული მმართველობის აკადემიასთან (eGA) ერთად. REDI მიზნად ისახავს შეამციროს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის ციფრული განვითარების კუთხით არსებული უთანასწორობა საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და ციფრული წიგნიერების ამაღლების გზით. ინიციატივის სამიზნე რეგიონების, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა, ქვემო სვანეთის, იმერეთისა და, შესაძლოა, კახეთის, საჯარო სივრცეებში განთავსდება ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმნება ციფრული სოფლის ჰაბები ადგილობრივი მოსახელობის უნარების განვითარებისთვის.

რაც შეეხება ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებას, პროექტის ორი ძირითადი მიმართულებიდან პირველს, ის განხორციელდება, როგორც Open Net პროგრამის პროექტ Log-in Georgia-ს შემდგომი ეტაპი და ფოკუსირებული იქნება სამიზნე რეგიონებიდან 200 შერჩეული სოფლის მცხოვრებთათვის ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფაზე. მეორე მიმართულება მიზნად ისახავს **ციფრული წიგნიერების ხელშეწყობას** შერჩეული სამიზნე რეგიონების სოფლის მაცხოვრებლებში.

1. დავალების შესრულების ადგილ(ებ)ი

გურია და/ან რაჭა ლეჩხუმი

2. დავალების ხანგრძლივობა:

მოთხოვნის საფუძველზე, 2024 წლის 31 დეკემბერამდე (ჩათვლით), გაგრძელების შესაძლებლობით, მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების დაცვით.

3. გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნები:

შეთავაზებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, ფორმალური მიზეზ(ებ)ით გამოეთიშებიან ტენდერს.

3.1 ინტერნეტთან დაკავშირების სერვისი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

- გლობალური და ლოკალური კავშირი ინტერნეტთან: 30 Mbps (მაქსიმუმი)
- სიმეტრიული არხი – ატვირთვა = გადმოქაჩვა
- სერვისის ხელმისაწვდომობა: სერვისი უნდა იყოს მოქმედი და ხელმისაწვდომი დროის 95%
- მაქსიმალური შეყოვნება: 400 ms-ზე ნაკლები
- Jitter არ უნდა აღემატებოდეს 50 ms-ს
- პაკეტის დანაკარგი: 5%-ზე ნაკლები
- რეალური IP მისამართი: 1
- ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს გადასცეს ტრაფიკი Wi-Fi მოწყობილობაზე შიდა დისტანციური მართვისთვის
- ინტერნეტ არხს უნდა შეეძლოს ნებისმიერი გამტარუნარიანობის განახლება 100 Mbps-მდე (გლობალური)

3.2 საქართველოში სოლიდარობის ფონდის PL-ის მიერ მოწოდებულ აღჭურვილობასთან მუშაობის მოქნილობა (იხილეთ Annex 1_Equipment Specifications).

3.3 მოთხოვნილი სერვისების მიწოდების შესაძლებლობა Open Net ოპტიკური ქსელის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, სადაც ეს შესაძლებელია, ან ალტერნატიული კავშირის ტექნოლოგიების შეთავაზების შესაძლებლობა, სადაც Open Net ინფრასტრუქტურა მიუწვდომელია.

3.4 ინსტალაციის ღირებულება უნდა მოიცავდეს ყველა მასალას, სამუშაოებს (მოსამზადებელი სამუშაოების ჩათვლით და ინსტალაციის შემდგომი მონიტორინგის ჩათვლით), ნებართვებს (ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს ტენდერში მონაწილემ), ელექტროენერგიის წყაროს და ა.შ. ასევე, Open Net/Energo-Pro და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

3.5 რეკ კარადა (rack cabinet) უნდა დამონტაჟდეს შენობაში, კედელზე.

4. შეფასების კრიტერიუმი ყველაზე საუკეთესო წინადადების შესარჩევად (მაქს. 120 ქულა)

4.1 ავტორიზაციის ხანგძლივობა (მაქს. 10 ქულა)

- ავტორიზებული 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში – 10 ქულა
- ავტორიზებული 1-დან 3 წლამდე – 5 ქულა
- ავტორიზებული 1 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში – 2 ქულა

4.2 დავალებისათვის გამოყოფილი დამხმარე ჯგუფი/ადამიანი (მაქს. 10 ქულა)

- დავალებისათვის გამოყოფილი ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის/ადამიანის უზრუნველყოფის შესაძლებლობა – 10 ქულა

4.3 ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი (მაქს. 20 ქულა)

გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ტექნიკური მხარდაჭერის შემოთავაზებული პაკეტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ტექნიკურ საკითხებზე რეაგირების დროის, პრობლემის მოგვარების ვადებისა და სხვა სერვისების შესახებ, რაც იგულისხმება შემოთავაზებულ ტექნიკურ მხარდაჭერაში. საუკეთესო ტექნიკური მხარდაჭერის პაკეტი შეფასდება პრობლემაზე რეაგირების და/ან მოგვარებისთვის შეთავაზებული მინიმალური დროის, აგრეთვე, მხარდაჭერის პაკეტში შეტანილი სერვისების მრავალფეროვნების მიხედვით.

4.4 მომსახურების ღირებულება (მაქს. 20 ქულა), მათ შორის

- ინსტალაციის ხარჯები (უნდა მოიცავდეს ნებისმიერ მასალას, სამუშაოს, ნებართვას (ყველა შესაბამისი ნებართვა უნდა მოიპოვოს ტენდერში მონაწილემ) ელექტროენერგიის წყაროს და ა.შ. ასევე Opent Net-ის, Energo-Pro-ს და სხვა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- სააბონენტო ხარჯები (მათ შორის ტექნიკური მომსახურების (maintenance));
- ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები.

„ღირებულების“ კრიტერიუმით შეფასება დაეფუძნება შემდეგ ფორმულას:

P= Pmin/Pof x 20 ქულა

სადაც:

Pmin - ყველაზე დაბალი შემოთავაზებული ფასი

Pof – ფასი წარმოდგენილია შემოწმებულ შეთავაზებაში

P – ფასის კრიტერიუმით შემოწმებულ შეთავაზებაზე მინიჭებული ქულების რაოდენობა, დამრგვალებული სრულ რიცხვამდე.

<u>ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, დღგ-ს გარეშე.</u>

4.5 კომპეტენციის დავალება (მაქსიმუმ 40 ქულა)

გთხოვთ მოგვაწოდოთ სამუშაოების დეტალური აღწერა ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებში **ხელმისაწვდომი** Wi-Fi ზონების დასაკავშირებლად. ტენდერში მონაწილეს შეუძლია აირჩიოს ერთი ან ყველა სოფელი. შერჩეული სოფლების რაოდენობა გავლენას არ მოახდენს კომპეტენციის დავალების შეფასებაზე.

#	სოფელი	მინუციპალიტეტი	GPS კოორდინატები	გამტარუნარიანობა
1	თხინვალი	ოზურგეთი	41.964688, 41.874469	30 Mbps
2	ზემო ნატანები	ოზურგეთი	41.966231, 41.839741	30 Mbps

3	ხევი	ჩოხატაური	41.959581, 42.263567	30 Mbps
4	ბჟოლიეთი	ჩოხატაური	41.959564, 42.263550	30 Mbps
5	ნიკორწმინდა	ამბროლაური	42.460797, 43.088268	30 Mbps
6	წესი	ამბროლაური	42.538619, 43.200440	30 Mbps

შესრულებული დავალება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი ISP-ის ინტერნეტ ქსელის, მათ შორის, ძირითადი და სარეზერვო არხების, ამოცანების, ვადების, გამოყენებული როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის, ჩართულობის საჭიროების (Energo-Pro, Open Net, ნებისმიერი სხვა), ხარჯების, როგორც ეს განსაზღვრულია მინიმალური მოთხოვნებით, Wi-Fi ქსელის მონიტორინგისა და დისტანციური მართვის სისტემის დეტალური დახასიათების, აღჭურვილობის უსაფრთხოების გეგმის და ნებისმიერი სხვა შესაბამისი საკითხის შესახებ. სიტყვიერი განმარტება, ნახატი და/ან აღწერის ნებისმიერი სხვა შესაბამისი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას და დაემატოს განაცხადის ფორმას დანართად. დანართი უნდა იყოს ხელმოწერილი.

დავალებას შეაფასებს შესყიდვების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტდება, მათ შორის, ტექნიკური ექსპერტ(ებ)ისგან.

4.6 გასაუბრება (მაქს. 20 ქულა) – განაცხადის ფორმაში მოცემული ინფორმაციის გადამოწმება.

*გასაუბრების პროცესში მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ შერჩეული აპლიკანტები.

5. ხელშემკვრელ ორგანოსა და კონტრაქტორს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

6. განაცხადი უნდა შეიცავდეს ფისკალურ განაცხადს და აპლიკაციის ფორმას (მიბმული ფაილების სახით), ხელმოწერილს და დასკანერებულს PDF ფორმატში.

7. **განაცხადის შეტანა**

განაცხადი უნდა გამოიგზავნოს არაუგვიანეს 2024 წლის 27 აგვისტოსა, თბილისის დროით, შემდეგ მისამართზე: redi@solidarityfund.pl

კითხვები ტენდერთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვწეროთ მისამართზე redi@solidarityfund.pl ვადის გასვლამდე.

8. ხელშემკვრელი ორგანო არ მიიღებს ტენდერის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას/კითხვას.

9. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ. ფოსტაზე და გამოქვეყნდება Solidarity Fund PL_GEO Facebook გვერდსა https://www.facebook.com/solidarityfund.ge და https://participatoryhub.ge/ -ზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, (გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება) რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL -ში.

10. შერჩეულ კონტრაქტორთან/კონტრაქტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

11. კონტრაქტორ(ებ)ს, რომლის ტენდერიც ჩაითვლება ყველაზე უპირატესად, იქნება ინფორმირებული ხელშემკვრელ ორგანოს მიერ ხელშეკრულების გაფორმების ადგილისა და თარიღის შესახებ.

12. ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესავსებად, ხელშემკვრელ ორგანოს მოთხოვნით.

13. თუ ეკონომიკური ოპერატორ(ებ)ი, რომლის სატენდერო წინადადება ჩაითვალა ყველაზე უპირატესად, თავს აარიდებს ხელშეკრულების დადებას, ხელშემკვრელ ორგანოს შეუძლია ხელახლა განიხილოს და შეაფასოს ტენდერის შედეგი დარჩენილი ეკონომიკური ოპერატორების შემოთავაზებებიდან ან გააუქმოს პროცედურა.

14. ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლმა პირებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინონ ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ ასეთი ავტორიზაცია არ დასტურდება ტენდერის თანდართული დოკუმენტებიდან.

15. სოლიდარობის ფონდი პლ უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმების პროცესში რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

16. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ქუჩა Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე-6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების დაცვის პოლონეთის კანონის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. მონაცემთა მაკონტროლებელი არის სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 20, ბინა #3, სართული 2, 0179 თბილისი, საქართველო. თქვენი უფლებებით სარგებლობისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ SFPL-ს საქართველოში პირდაპირ მისამართზე georgiarep@solidarityfund.pl – ჩვენ მზად ვართ დავიცვათ თქვენი უფლებები ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.